

# პრეპარატ „კამელინის“ კიდევ ერთი აღიარება



გასული საუკუნის 50-იან წლებში, საქართველოში ცნობილმა ქირურგმა ბენედიქტე-დაგული მალააკელიძემ მიაგნო თავლის იმ უნიკალურ სახეობას, რომელიც მდიდარი იყო ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით და ორიგინალური ტექნოლოგიის გამოყენებით მი-აღწია მათი თავისუფალი სახით გამოყოფას და შემდგომ პრეპარატ „კამელინის“ სახით წარუდგინა სამედიცინო საზოგადოებას. ასე დაიწყო პრეპარატ „კამელინის“ ექსპერიმენტულ-კლინიკური კვლევები მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის ონკოლოგიურ და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში. ავტორის უეცარმა გარდაცვალებამ ხანგრძლივი დროით შეაჩერა აღნიშნული პრეპარატის ფართომასშტაბიანი წარმოება და მხოლოდ 2004-2005 წლიდან გახდა შესაძლებელი თავიდან აღორძინებულიყო პრეპარატი „კამელინი“. მან უმოკლეს დროში მოიარა მსოფლიოს უდიდესი სამედიცინო და კლინიკური ცენტრები და მრავალი მეცნიერის ყურადღება მიიპყრო. კვებევის, მონრეალის, ილინოისის, ბერნის, ორეგონის, ბრაზილიის, დელის უნივერსიტეტებსა და კლინიკებში ნათლად დადასტურდა არა მხოლოდ მისი იმუნომოდულატორული, არამედ ანტისიმსიენური, ანთების სანინალმდებელი, ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, ქსოვილის რეგენერაციული და სხვა თვისებები. 2010 წლის იანვარში ესპანეთში დაგეგმილ სიმპოზიუმზე „INTERNATIONAL CONFERENCE ON ANTIMICROBIAL RESEARCH“ წარმოდგენილი იყო სამედიცინო ნაშრომი პრეპარატ „კამელინზე“. კომპანიის წინსვლას დაემატა კიდევ ერთი აღიარება უცხოელ მეცნიერთა მხრიდან. გამომცემლობა „WORLD SCIENTIFIK“-ის მიერ გამოცემულ მაღალრეიტინგულ სამედიცინო წიგნში „მეცნიერება და ტექნოლოგიები მიკრობული პათოგენების წინააღმდეგ“ გამოქვეყნდა ესპანეთის სიმპოზიუმზე წარმოდგენილი სტატია, სათაურით „EVALUATION OF IN VITRO AND IN VIVO ANTIBACTERIAL AND ANTI-FUNGAL ACTIVITY OF „CAMELYN M“. გვესაუბრება კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამედიცინო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, 2009 წლის მსოფლიო საუკეთესო მეცნიერთა „Top 100“-ში შესული მეცნიერი ბატონი **კობა ბურიძე**.

— **ბატონო კობა, უპირველესად კომპანიას გულოცავ კიდევ ერთ აღიარებას. გვესაუბრეთ რის საფუძველზე ხდება ქართულ პრეპარატ „კამელინს“ ესოდენ დიდი პატივი.**

— 2004 წლიდან, როდესაც მსოფლიოს მრავალი მოწინავე სამედიცინო და კლინიკური ცენტრები ჩაერთვნენ „კამელინის“ კვლევაში, მოხდა პრეპარატის აღორძინება და ფარმაცევტულ ბაზარზე წარმატებით გატანა. უცხოელი სპეციალისტები, რომლებიც გაეცნენ ჩვენ მიერ გადაცემულ იმდროინდელ დოკუმენტურ მასალებს, ადასტურებენ „კამელინის“ ანტიბლასტომურ (ანტისიმსიენურ) თვისებებს. მათში განსაკუთრებულად დიდი ინტერესი გამოიწვია წარმოდგენილმა კლინიკურმა შემთხვევებმა, რომლებშიც დამაჯერებლად ცოველთვის მორფოლოგიური დამონებით) არის ნაჩვენები

პრეპარატის მკაფიოდ გამოხატული თერაპიული ეფექტი სხვადასხვა სიმსიენის შემთხვევებში. ყოველივე ამის შემდეგ, უმოკლეს ვადაში, „კამელინმა“ მოიარა მსოფლიოს უდიდესი სამედიცინო და კლინიკური ცენტრები.

კვლევის მასალებზე დაყრდნობით შეიქმნა საერთაშორისო სამედიცინო ჯგუფი, რომელშიც კვებევის და ბერნის უნივერსიტეტებთან ერთად ჩართული იყო საქართველოს ტუბერკულოზის და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, ასევე ფარმაკოპიმიის ინსტიტუტი. ანტიმიკრობული და ანტისოკოვანი კვლევების შედეგები „კამელინის“ გამოყენებით მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩნდა, „კამელინმა“ გა-



მოავლინა დადებითი ეფექტი ანტიბიოტიკოტერაპიისტენტული პათოგენების მიმართ, რაც მედიცინისათვის დღემდე აქტუალურია. მომზადდა სამედიცინო სტატია და გაიგზავნა ესპანეთში მსოფლიო სამედიცინო კონფერენციაზე. უკვე ახლახან ცნობილმა უმსხვილესმა გამომცემლობამ გამოსცა წიგნი, რომლის სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან მსოფლიოში ცნობილ მეცნიერთა ჯგუფი და მათი გადა-

წყვეტილებით 61 ქვეყნიდან წარმოდგენილ სტატიებს შორის „კამელინზე“ პუბლიკაციაც მოხვდა. ეს კიდევ ერთი დიდი მსოფლიო აღიარებაა...

— **კომპანია „კამელინი“ კვლავ განაგრძობს აქტიურ კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით.**

— ჩვენ არ ვჩერდებით და სისტემატურად ვანარმოებთ „კამელინის“ ბიოლოგიურ აქტივობებზე მონაცემების შეგროვებას. მრავალი კვლევის საფუძველზე „კამელინმა“ გამოავლინა სხვადასხვა გამოყენების ჩვენებები და შეიძინა ახალი მიმართულებები მედიცინაში (რევმატოლოგიასა და უროლოგიაში, გინეკოლოგიაში, სტომატოლოგიაში, დამწვრობით გამოწვეული პათოლოგიების, განსაკუთრებით იმუნური თვალსაზრისით და სხვა დაავადებების დროს). 11 ივნისს კომპანია „კამელინმა“ „შვედრატონ ბათუმი პალასში“ გაიმართა კონფერენცია თემაზე „კამელინი და ჯანმრთელობა“, სადაც სხვადასხვა პროფილის ექიმებმა წარმოადგინეს მოხსენებები პრეპარატ „კამელინზე“ განხორციელებულ კვლევების შედეგებზე. კონფერენციის სტუმრები იყვნენ ასევე ბათუმის სხვადასხვა პროფილის წამყვანი სპეციალისტები, რომლებმაც მედიის წარმომადგენლებთან დისკუსიის დროს გამოთქვეს მოსაზრება პრეპარატ „კამელინის“ ოთხივე ფორმის უფრო ფართოდ გამოყენების სხვადასხვა დაავადებასთან მიმართებაში, განსაკუთრებით პროფილაქტიკური გამოყენების მიზნით.

**მომზადდა მათი კომპიამ** R

**„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ: 2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-45-33-68; 2-22-26-68; 2-75-04-08; 599 33-10-89; 599 58-09-07; 577 73-56-51; 599 23-03-33; [www.camelyn.ge](http://www.camelyn.ge)**